ლენტეხის მუნიციპალიტეტის სკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების

საკითხთა კომისია

დ. ლენტეხი 11. 06. 2025 წ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა

კომისიის სხდომა

ოქმი N 06

დ. ლენტეხი. 11 ივნისი 2025წ.

მიმდინარე წლის11 ივნისს დღის 13- საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი, კომისიის წევრები: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი, კომისიის წევრი ნინო ბენდელიანი, საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი, სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ლენტეხის ადმინისტრაციულ ერთეულში ლაშა ონიანი, საკრებულოს აპარატის სპეციალისტი ნანი ბენდელიანი.

კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **საყოფაცხოვრებო ნარჩენების მდგომარეობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში.**

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი წერილები, რომლის თანახმადაც მოქალაქეები ითხოვენ როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სამშენებლო ნაგვის გატანას და დანაგვიანებული ადგილების მოწესრიგებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ როგორც სოფლებში, ასევე რაიონის განაპირა ადგილებში არის საგანგაშო მდგომარეობა დანაგვიანების მხრივ. ასევე არის ადგილები, სადაც ნაგვის გადამზიდი მანქანა ვერ მოძრაობს ადგილის სიმცირის გამო და იქვე ხდება ნაგვის დაყრა, ხოლო ზოგიერთ სოფელში გზების განაპირას, ასევე მდინარეების კალპოტების გასწვრივ ნაპირები გადავსებულია როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე სამშენებლო ნაგვით.

დალი ტვილდიანმა კომისიის წევრებს და დამსწრე პირებს მიაწოდა მისი მოსაზრება, რომ ეთხოვოს მერიას, სადაც შესაძლებელია იმ ადგილებში დაემატოს ნაგვის ურნები, მით უმეტეს რომ ახლა ზაფხულის პერიოდია.

რაც შეეხება სამშენებლო ნაგავს გარემოს დაცვის სამსახურთან და შესაბამისი კვლიფიკაციის მქონე სამსახურებთან ერთად დაიშვას შესაძლებლობა, რომ

ექსკავატორით ამოითხაროს ორმოები და იმაში ჩაიყაროს სამშენებლო ნაგავი, ხოლო ზემოდან დაიფაროს მიწით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს:
ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს, მერიის შესაბამის სმასახურს - სადაც ნაგვის გადამზიდი მანქანა ნაკლებად მოძრაობს, ახლო-მახლო ტერიტორიაზე დაემატოს ნაგვის ურნები საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის, ხოლო სამშენებლო ნაგვისთვის გამოიყოს სპეციალური ადგილები, წარწერით, რომელიც მიუთითებს მხოლოდ სამშენებლო ნაგვის დაყრაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვის და ბუნებრივ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: /დ. ტვილდიანი/